



MES 0 21 0000855770



03/09/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 20.08.2021

სხდომის დაწყების დრო: 15:08 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:15სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
8. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
10. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირაკლი კორძია	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ.შ.	I-II
2.	ლელა თურმანიძე		ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	I-II
3.	ნანი მამულაძე		ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	I-II
4.	ვლადიმერ ბალაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I-II
5.	ლალი კალანდაძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I-II
6.	ნუგზარ ღომიძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I-II
7.	რამაზ კუკულაძე		შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	პრეზიდენტი
8.	ნათია ვაჭარაძე	ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორი		III

9.	ჯილდა ჭეიშვილი		მედიცინის სკოლის დეკანი	III
10.	ნინო ფირცხელანი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
11.	თამარ მგელაძე		პროგრამის პერსონალი	III
12.	თამარ დაოსი		ექსკლუზიურად აფილირებული კლინიკის (ივ.ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი) უნივერსიტეტთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი.	III
13.	ვახტანგ ლეჟავა	ა(ა)იპ თბილისის აგრარული უნივერსიტეტი	რექტორი	IV
14.	ნათია სამუშია		პრორექტორი	IV
15.	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	IV
16.	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	IV
17.	მარიამ გაბუნია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	IV
18.	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	IV
19.	შაკო თავაძე		სტუდენტების დეკანი	IV
20.	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	IV
21.	მარიამ ჯაფარიძე		საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	IV
22.	ზაზა მეტრეველი		საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	IV
23.	დაჩი ჯუგაშვილი			პროგრამის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მამუკა ნადარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
4	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
5	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
6	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნატალია ალავეძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ირმა ღარიბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ თბილისის აგრარული უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ თბილისის აგრარული უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N347, 25.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მათემატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მათემატიკა 0541 Mathematics 0541
12	კვალიფიკაციის კოდი	0541
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. № 35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადეს გაიოზ ფარცხალაძემ და ანზორ ბერიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ განმარტა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 3 აგვისტოს, ონლაინ რეჟიმში, ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. მათ შორის, დისტანციურად განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული პროგრამა უნივერსიტეტის დაარსებიდან ფუნქციონირებდა და მისი შეფასებით, მისასაღმებელი იყო აღნიშნული ტრადიციული პროგრამის არსებობა რეგიონში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია სასწავლო კურსი „მათემატიკური სტატისტიკა და მისი გამოყენება“ გახდეს სავალდებულო;
2. რეკომენდებულია „გამოთვლების მეთოდების“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს „ალგებრა II“ და „მათემატიკური ანალიზი II“;
3. რეკომენდებულია „საბაკალავრო ნაშრომისათვის“ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობა;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში ძირითადი ინგლისურენოვანი ლიტერატურა გადატანილ იქნას დამხმარე ლიტერატურის ნუსხაში, ან განისაზღვროს დაშვების წინაპირობა ენის კომპეტენციის მხრივ;
5. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განსაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების (როგორც საჯაროდ დაცვის, ასევე ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასების) გაზომვადი კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა თურმანიძემ მადლიერება გამოხატა ექსპერტთა ჯგუფის მიმართ. მისი განმარტებით, ექსპერტებმა თანამშრომლობის პერიოდში გარკვეული ხარვეზები სხვა კუთხით დაანახეს პროგრამის წარმომადგენლებს, რაც სასარგებლო იყო პროგრამის განვითარებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოყოფილი იყო 15 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსებისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლო კურსის „მათემატიკური სტატისტიკა და მისი გამოყენება“ სილაბუსთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან შინაარსობრივი შენიშვნა არ ყოფილა, მარტივად იყო შესაძლებელი სასწავლო კურსის გადატანა არჩევითი სასწავლო კურსებიდან ძირითად სასწავლო კურსებში და შემცირდებოდა არჩევითი კურსების მოცულობა. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა, ხაზი გაუსვა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო 60 კრედიტი, დამატებითი სპეციალობისთვის, ან თავისუფალი კომპონენტის არჩევისათვის. შესაბამისად, მარტივად შეიძლებოდა აღნიშნული სასწავლო კურსის ძირითად სასწავლო კურსებში გადატანა. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე თანდართულ სასწავლო გეგმაში „საბაკალავრო ნაშრომი“ მითითებული იყო არჩევითი სტატუსით, რაც წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს. მისი განმარტებით, პროგრამის მიხედვით „საბაკალავრო ნაშრომი“ სავალდებულო იყო, ხოლო გეგმაში არსებულ ხარვეზი შესწორდებოდა. „საბაკალავრო ნაშრომის“ შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ეცდებოდნენ სილაბუსში გაწერილიყო რეკომენდაციაში აღნიშნული რუბრიკები, მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარე

შეფასება ითვალისწინებდა 60 ქულას, 30 ქულას წერდა სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხოლო 60 ქულას რეცენენტი. ზოგადი მიდგომები №111 დადგენილებაში იყო გაწერილი, შეფასებისას თუ რაზე უნდა ყოფილიყო აქცენტები გაკეთებული. თუმცა სილაბუსში აუცილებლად დაკონკრეტდებოდა, რათა სტუდენტებისათვის უფრო მათკად ხელმისაწვდომი გამხდარიყო. ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ საწავლო კურსებში საგნის ლექტორებს მითითებულ სავალდებულო ლიტერატურაზე დაყრდნობით მომზადებული ჰქონდათ საკითხავი მასალა („

რიდერი“) ქართულ ენაზე, რაც სტუდენტებს სასწავლო კურსის დასაწყისში მიეწოდებოდათ პორტალის საშუალებით. სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების მითითება, ინსტიტუციის პრაქტიკით, არ წარმოადგენდა ხელის შემშლელ გარემოებას, რადგან სტუდენტების ძირითადმა ნაწილმა იცოდა ინგლისური ენა, შესაბამისად მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ლიტერატურის ორიგინალ ვერსიას, ხოლო სტუდენტებს, რომლებმაც არ იცოდნენ ინგლისური ენა შეეძლოთ ესარგებლათ სპეციალურად მომზადებული „რიდერებით“ ქართულ ენაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დადებითად შეაფასა წარმოდგენილი პროგრამა, თუმცა ასევე განმარტა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტების რეკომენდაციებს და რჩევებს, რომლებიც გასათვალისწინებელი იყო პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. საბჭოს წევრი, დაინტერესდა თუ როგორი იყო ინსტიტუციის პოზიცია რჩევებთან დაკავშირებით. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ გაეცნო, როგორც პროგრამის, ასევე სასწავლო კურსების შედეგებს, რომლებიც თითქოს არ იყო ჩამოყალიბებული გაზომვადობის პრინციპით, რაც გააუმჯობესებდა პროგრამაზე მომუშავე ჯგუფისათვის შედეგებზე დაკვირვებას და მათი მიღწევადობის გაზომვას. საბჭოს წევრმა ასევე, აღნიშნა, რომ გარკვეულ სასწავლო კურსებში უმჯობესი იქნებოდა მეტად ყოფილიყო დაკონკრეტებული სწავლის შედეგები, მისი განმარტებით, თითქოს მოკლედ იყო გაერთიანებული ორ შედეგში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ინსტიტუციამ 114 რესპოდენტს გაუგზავნა კითხვარი, საიდანაც 54-მა მიიღო მონაწილეობა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა პრინციპით მოხდა რესპოდენტების შერჩევა და იყო თუ არა რელევანტური 54-ი რესპოდენტის მიერ გაცემული პასუხები. საბჭოს წევრმა, ასევე ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს ბიუჯეტთან დაკავშირებული დეტალების განსაზღვრა და საბჭოსთვის მოწოდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების გათვალისწინებით, ხორციელდებოდა რჩევებისა და რეკომენდაციების შესრულების გეგმების გაწერა. მისი განმარტებით, შესაბამისი სამსახურები მუშაობდნენ რჩევებისა და რეკომენდაციების მაქსიმალურ გათვალისწინებაზე. ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სტრუქტურული ცვლილებები, რაც აფერხებდა მათ, რათა მოეხდინათ ძირეული ცვლილებები ბიუჯეტთან დაკავშირებით, ამიტომ ინსტიტუციას წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამის პირველადი ხარჯთაღრიცხვები, რაც გარკვეულწილად აჩვენებდა პროგრამის მდგრადობას, თუმცა განვითარებასთან დაკავშირებული მხარდაჭერა გათვალისწინებული იყო ცენტრალურ ბიუჯეტში. გამოკითხულ რესპოდენტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ესენი იყვნენ ძირითადად დამსაქმებლები, რომლებიც ახორციელებდნენ კურსდამთავრებულების უნარებისა და შედეგების შეფასებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა თურმანიძემ რჩევებთან დაკავშირებით დაამატა, რომ პროგრამა იყო განვითარებადი და საჭიროების მიხედვით ხდებოდა რჩევების გათვალისწინება. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ რთულ პირობებში მოუხდათ პროგრამაზე მუშაობა, კოვიდ პანდემიური სიტუაციებიდან

გამომდინარე. რაც შეეხება, გამოკითხულ დამსაქმებელთა კატეგორიას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ისინი წარმოდგენდნენ ძირითადად სკოლებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ინსტიტუცია ასევე თანამშრომლობდა აჭარის განათლების სამინისტროსთან, რესურს ცენტრებთან და ბანკებთან. თუმცა, ბანკები საკადრო პოლიტიკას აწარმოებდნენ ცენტრალური ოფისებიდან, ხოლო აჭარის რეგიონში წარმოდგენილები იყვნენ, როგორც ფილიალები, რაც წარმოდგენდა ხელშემშლელ ფაქტორს, რადგან ბანკები თავს იკავებდნენ ოფიციალური შეხვედრებისა და პროცედურებისგან. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ კიდევ ერთხელ გადახედავდნენ სილაბუსებს, რადგან ამას ყოველი სემესტრის ბოლოს აწარმოებდნენ. ინსტიტუციაში ახალხანს დაინერგა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და თითოეული სემესტრის ბოლოს განიხილება სილაბუსები. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნიკა გიგაურმა ხაზი გაუსვა უნივერსიტეტში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას და აღნიშნა, რომ მისასაღმებელი პრაქტიკა იყო მულტიფუნქციური ელექტრონული პორტალი, რომლის საშუალებითაც გამარტივებული იყო სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:28

დასრულების დრო: 15:51

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია სასწავლო კურსი „მათემატიკური სტატისტიკა და მისი გამოყენება“ გახდეს სავალდებულო.
2. რეკომენდირებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
3. რეკომენდებულია „გამოთვლების მეთოდების“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს „ალგებრა II“ და „მათემატიკური ანალიზი II“.
4. რეკომენდებულია „საბაკალავრო ნაშრომისათვის“ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობა.
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში ძირითადი ინგლისურენოვანი ლიტერატურა გადატანილ იქნას დამხმარე ლიტერატურის ნუსხაში, ან განისაზღვროს დაშვების წინაპირობა ენის კომპეტენციის მხრივ.
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები მკაფიოდ ჩამოყალიბდეს კურსის შინაარსის შესაბამისად.
7. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განსაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების (როგორც საჯაროდ დაცვის, ასევე ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასების) გაზომვადი კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკები.

8. რეკომენდირებულია, რიგი სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები არ იყოს იდენტური და ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას.

რჩევები ჩემოყალიბდა შემდეგირედაქციით:

1. სასურველია, სწავლის შედეგების რუკაში აისახოს სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირის ხარისხი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება ან სხვ).
2. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და საბაკალავრო ნაშრომი გადატანილ იქნას სავალდებულო კომპონენტების ბლოკში.
3. სასურველია ზოგადი კომპეტენციის სასწავლო კურსები (საქართველოს ისტორია, ფილოსოფიის შესავალი, ფსიქოლოგია, აკადემიური წერის საფუძვლები, ინგლისური ენა) გაიმიჯნოს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისგან.
4. სასურველია პროგრამაში შეტანილ იქნას რომელიმე სპეციალიზირებული სტატისტიკური პაკეტის (SPSS, Stata, R ან სხვ.) სწავლება. ეს შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ცალკე საგნის დამატების საშუალებით, ასევე მათემატიკური სტატისტიკის კურსის სწავლების ფარგლებშიც.
5. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და სასწავლო კურსზე „ინგლისური A1.1“ დაშვება განისაზღვროს წინაპირობის გარეშე.
6. სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორ მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების გადანაწილება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.
7. სასურველია, პროგრამის მდგრადობის მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილ იქნეს სრულად პროგრამული ბიუჯეტი.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-7 პუნქტების, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
№ 1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
3	სტატუსი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
5	

ფიზიკა

N161 02.07.2012

რადიოფიზიკა

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფიზიკა - 0533
12	კვალიფიკაციის კოდი	0533
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, II სართული, ბათუმი, 6010, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადეს გაიოზ ფარცხალაძემ და ანზორ ბერიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 2 აგვისტოს. ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდულად, როგორც ონლაინ პლატფორმის

გამოყენებით, ასევე ადგილზე დათვალიერებით. ექსპერტმა დადებითად შეაფასა პროგრამა და აღნიშნა, რომ პროგრამა სტუდენტებს უვითარებდა გამოყენებითი ფიზიკისათვის საჭირო უნარებს, რაც ხელს უწყობდა მათ დასაქმებაში. ბიუჯეტთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფდა ფაკულტეტი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, გარდა ამისა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობდა კვლევით გრანტებში, რის შედეგადაც ხდებოდა სხვადასხვა ხელსაწყოების შეძენა, რაც ერთი მხრივ წარმოადგენდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამდიდრების საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ ხელსაწყოების არსებობა უზრუნველყოფდა პროგრამის მდგრადობას, რადგან მათი გამოყენებით, გრანტის დასრულების შემდგომ შესაძლებელი იქნებოდა საჭირო კვლევების განხორციელება.

"ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად: 2.6 კომპონენტი მეტწილად იყო შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო სხვა სტანდარტები სრულ შესაბამისობაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ფიზიკური ამოცანების მოდელირება და სიმულაციები, 2. ტალღური პროცესების თეორია, 3. მაგნიტური მოვლენების ფიზიკა, 4. პლაზმის ელექტროდინამიკა, 5. ელექტრული რხევები, 6. სტატისტიკური რადიოფიზიკა, 7. ტალღსატარები, 8. დისპერსულ გარემოთა მაგნიტოპტიკა, 9. სიგნალების დამუშავება, 10. რადიო და ოპტიკური სისტემები, 11. ტალღური პროცესების გამოკვლევა ტროპოსფეროს სიმაღლეებზე, 12. სამედიცინო ვიზუალიზაციის ფიზიკური, 13. ატმოსფეროს რადიოფიზიკა - სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების გაზომვადი კრიტერიუმებითა და დეტალური რუბრიკით.
2. (2.6) რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტისა და 1-ლი მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი 5 კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკა, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

რჩევები:

1. (2.1) სასურველია, მიღების წინაპირობებში ჩაემატოს ტექნიკური ინგლისურის ცოდნა. შემოწმება შეიძლება მოხდეს შესაბამისი მიმართულების სტატის ნაწილის თარგმნით, გასაუბრების რეჟიმში.
2. (2.6) სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა.
3. (3.2) სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სიღბუსებში იყო გაწერილი როგორ ფასდებოდა და რა უნარებს ენიჭებოდა უპირატესობა, თუმცა ექსპერტის მოსაზრებით, დასკვნითი და შუალედური შეფასების მეთოდები უნდა იყოს უფრო მეტად დაკონკრეტებული.

ექსპერტმა პირველ რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რადგან პროგრამა სამაგისტრო საფეხურისათვის იყო, ხოლო სტუდენტს უწევდა კვლევებში მონაწილეობა და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა ინგლისურ ენაზე, მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური ინგლისურის შესწავლა.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ მისასაღმებელი პრაქტიკა იყო სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა. ასევე ელექტრონული პორტალის მეშვეობით შესაძლებელი იყო ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, გარკვეულწილად დამუშავება, ლექციებზე დასწრება, პერსონალის შეფასება, სტუდენტებისთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება. ექსპერტის თქმით, ასევე მისასაღმებელი პრაქტიკა იყო, რომ პროგრამის სტუდენტის ნაშრომი ხელმძღვანელის კონსულტაციის შედეგად მოდიფიცირდებოდა სამეცნიერო სტატიად და ქვეყნდებოდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციას მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, რომ სამაგისტრო ნაშრომი შეფასებულიყო ერთჯერადად და აქედან გამომდინარე მისი შესრულების წინაპირობად ითვლებოდა ძირითადი 90 კრედიტი, რომელიც უნდა ყოფილიყო სტუდენტის მიერ ათვისებული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ნაშრომი მოწმდებოდა ანტი პლაგიატის პროგრამაზე, რის შემდგომაც ხელმძღვანელი ამზადებდა დასკვნას და იძლეოდა რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად და ასევე გარდა ხელმძღვანელისა რეცენზენტიც აკეთებდა დასკვნას. ხოლო ნაშრომის შეფასება ხდებოდა ერთჯერადად, სადაც კომისიის 5 წევრი აფასებს სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომს. შესაბამისად, წარმომადგენლის პოზიციით, სირთულეებთან იყო დაკავშირებული სამაგისტრო ნაშრომის ქულობრივი შეფასება და ინსტიტუცია ხელმძღვანელობდა მე-3 ბრძანების შესაბამისად.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნუგზარ ღომიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პრაგმატული, საჭირო და ღირებული შენიშვნებისათვის, რომელიც მისი თქმით მნიშვნელოვან წილად წაადგებოდა პროგრამის განვითარებას, როგორც აკადემიური თვალსაზრისით, ასევე განხორციელების პროცესში. რეკომენდაციებთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციისათვის მისაღები იყო თითოეული რეკომენდაცია და რჩევა. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი დიდ ყურადღებას უთმობდა შეფასების სისტემას. დეტალურად იყო გაწერილი მიმდინარე შეფასებების: წერიტი შეფასების (პორტფელიო, ტესტი, ქვიზი, საკონტროლო წერა), ზეპირი შეფასების (აქტიურობა, ჯგუფში მუშაობა და სხვა) და სხვა შეფასების (პრეზენტაცია და სხვა) კრიტერიუმები, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელის თქმით ექსპერტთა მხრიდან საკვებით სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაშლაში გამოყენებული შეფასების მეთოდების, როგორცაა: „განმარტებები და ცნებები“, „პრაქტიკული დავალება“ კრიტერიუმები არ იყო გაშლილი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე განმარტა, რომ პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი პროგრამის თანმხლები სილაბუსების შედგენისას შეთანხმდა, რომ „განმარტებები და ცნებები“-ის ქვეშ იგულისხმებოდა ტესტირება, თუმცა, რადგან აღნიშნული შეკითხვა დაიბადა ექსპერტების მხრიდან, დაწესებულების წარმომადგენლები ვარაუდობდნენ, რომ ეს დააინტერესებდათ სტუდენტებსაც, ამიტომ პრაგმატული თვალსაზრით ინსტიტუცია

ეთანხმება და ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას. ხოლო პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები, „დამოუკიდებელი სამუშაოს“ შეფასების კრიტერიუმების ანალოგიური იყო.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას, ისინი სარგებლობდნენ ინსტიტუციური დებულებებით. ხოლო დაცვაზე ნაშრომის შეფასებისას გამოიყენებოდა შემდეგი კრიტერიუმები: კვლევის/პრობლემის აქტუალობა; მიღებული შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება; ნაშრომის აკადემიური დონე; პრეზენტაციის უნარი. სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვის დასრულებისთანავე ფასდებოდა კომისიის მიერ, დახურულ სხდომაზე, ერთჯერადად. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა მე-2 რეკომენდაციას და პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი აქტიურად ჩაერთვებოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ეფექტური, გაზომვადი კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში ინსტიტუციურ დონეზე. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ყველა რჩევა იყო პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული და შესაბამისად მისაღები იყო ინსტიტუციისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურა იყო შედარებით მოძველებული, რადგან ნაწილი კომპოზიტების და ნაწილი მასალების ტექნოლოგიები განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იცვლებოდა და იზრდებოდა ბოლო პერიოდში, რაც საბჭოს წევრის თქმით არ ჩანდა სამაგისტრო ნაშრომებში. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სამეცნიერო სიახლეს, აქედან გამომდინარე დაინტერესდა თუ რამდენად იყო საკმარისი ამისათვის 15-20 ლიტერატურის გამოყენება სამაგისტრო ნაშრომში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული იყო ძველი რუსული ლიტერატურა, ხოლო თანამედროვე და უახლესი ლიტერატურა - მცირე რაოდენობით. ასევე საბჭოს წევრის თქმით, გაეცნო დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალურ პორტალს, სადაც დაფიქსირებული იყო ორი დამსაქმებლის აზრი, რაც მისი განმარტებით არ იყო რელევანტური. ბიუჯეტთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ გაეცნო უნივერსიტეტის ბიუჯეტს და დაინტერესდა, თუ საიდან იყო შესაძლებელი ფაკულტეტის დაფინანსების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება. მისი თქმით, გაწერილი უნდა ყოფილიყო მექანიზმი, ან მითითებული უნდა ყოფილიყო საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან, რამდენი პროცენტი მოხმარდებოდა ფაკულტეტს.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა, რამდენად რელევანტური იყო წინაპირობად ინგლისური ენის B1 დონის განსაზღვრა „ფიზიკის“ სამაგისტრო პროგრამისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო კურსებში ძირითად ლიტერატურაშიც იყო მითითებული ინგლისურ ენოვანი წიგნები. საბჭოს წევრი, ასევე დაინტერესდა სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით, როგორც პროგრამაში, ასევე სასწავლო კურსებში, რამდენად იყო გაზომვადი. საბჭოს წევრი, ასევე დაინტერესდა თუ როგორ ხდებოდა მათემატიკური ცოდნის შემოწმება, რადგან „ფიზიკის“ სამაგისტრო პროგრამაში განხილული იყო საკითხები, რომლებიც მოითხოვდა გარკვეულ მათემატიკურ ცოდნას.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სამეცნიერო ბაზების გამოყენებას. საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული ხარვეზი გამოიკვეთა ინტერვიუებისას, თუ გარდა ინტერვიუსა ექსპერტები გაეცნენ ნაშრომებს და ამის შესაბამისად შეიმუშავეს აღნიშნული რჩევა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნუგზარ ღომიძემ ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს იყო ფიზიკის მიმართულება, ხოლო ნაწილი ფიზიკაში, შინაარსობრივად საქმე ეხებოდა „ველი-მატერია-ველი“ ციკლს, მიკრო და ნაწილი დიპაზონის ტალღებში, რაც უფრო მეტად იყო ორიენტირებული პრაგმატულ ფიზიკაზე, თუმცა ფუნდამენტური საკითხები იყო მნიშვნელოვანი, ვინაიდან სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტებს მოეთხოვებოდათ უფრო ღრმა თეორიული ცოდნა, ამის უპირველესი საფუძველი ძველი სახელმძღვანელოებიც იყო.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე აღნიშნა, რომ იყო ახალი სახელმძღვანელოებიც და ინსტიტუციამ განაახლა ძირითადი ლიტერატურის ნაწილიც. მისი განმარტებით, პროგრამა არ არის სრულად ორიენტირებული მხოლოდ ნაწილად ფიზიკაზე, არამედ უფრო მეტად არის ორიენტირებული მაგნიტო ოპტიკაზე, რადიოფიზიკაზე და თეორიული ფიზიკის ფუნდამენტურ საკითებზე. დასაქმების არეალი აქცენტირებული იყო სამედიცინო დაწესებულებებზე და მაღალი დასაქმების პოტენციალით გამოირჩევიან. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ იგეგმებოდა, არჩევითი სასწავლო კურსების გეოინჟინერიის, გეორადარების სისტემების და საინჟინრო ფიზიკის დამატება სამაგისტრო პროგრამაში, ხოლო შემდგომ რეალიზაციის განხორციელება, დაცული სამაგისტრო ნაშრომების სახით. დაწესებულების წარმომადგენელმა, ხაზი გაუსვა, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებული შენიშვნა მისაღები იყო და ეს წარმოადგენდა კომპლექსურ პრობლემას, ასევე მწირი იყო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, იყო უცხოენოვანი სახელმძღვანელოები, რომელიც შეიძინა ინსტიტუციამ. თუმცა, სახელმძღვანელოების ძირითადი ნაწილი, საჭიროებდა გადამუშავებას, ამიტომ პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ თავად იმყოფებოდა აკადემიურ შვებულებაში, რათა ახალი დამუშავებული სახელმძღვანელოებით და „რიდერებით“ მოხდეს ლიტერატურის გამდიდრება.

სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურის რაოდენობასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ „რადიოფიზიკა“ იყო წინამორბედი პროგრამა, სადაც გამოყენებული იყო მოძველებული ლიტერატურა, რადგან დარგი იყო ფუნდამენტური და ისწავლებოდა თეორიულ სტატისტიკური ნაწილი, ხელმძღვანელობა ხდებოდა იმ ლიტერატურიდან, რომელიც გააჩნდა ინსტიტუციას. თუმცა პროგრამის ხელმძღვანელის თქმით ამ ეტაპისათვის განახლებული იყო ლიტერატურა და მათ შორის სილებუსებშიც ბევრი ახალი ლიტერატურა იყო კონცენტრირებული.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც უნდა იყოს სამეცნიერო ხასიათის, ძირითადად უნდა ეფუძნებოდეს არა სახელმძღვანელოებს, არამედ სამეცნიერო სტატიებს, რომლებიც ბოლო წლებში იყო გამოქვეყნებული. ვინაიდან, მხოლოდ ეს იყო ერთადერთი გზა, სამაგისტრო ნაშრომში, შესრულებული სამეცნიერო სიახლე ყოფილიყო წარმოჩენილი და დამტკიცებული. საბჭოს წევრის თქმით, ეს საკითხი იმიტომ იყო მომგებიანი, რომ ვერცერთი ინსტიტუცია ვერ უზურუნველყოფდა მუდმივად ახალი სახელმძღვანელოების ყიდვას, რადგან სახელმძღვანელოებს საბოლოო სახის მიცემამდე სჭირდებოდა სხვადასხვა პროცედურები და დრო.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნუგზარ ლომიძემ განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომში ძველ ლიტერატურასთან ერთად ყოველთვის იყო მითითებული ახალი ლიტერატურა და სამეცნიერო სტატიები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა თურმანიძემ აღნიშნა, რომ მონაცემთა ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკა ატარებდა სისტემატიურ სემინარებს, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორებისთვის, იმის შესახებ თუ როგორ უნდა გამოყენებინათ აღნიშნული ბაზები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით წელიწად ნახევრის განმავლობაში, ეპიდ ვითარების გათვალისწინებით აღნიშნული აქტივობები შედარებით შენედა. მისი თქმით, შესაძლებელია ექსპერტი შეხვდა სწორედ იმ ნაკადს, რომელსაც აღნიშნულ აქტივობებში არ ქონდათ მონაწილეობა მიღებული. ინსტიტუცია შეეცდება, დისტანციურ რეჟიმში გააგრძელოს აღნიშნული აქტივობები, რადგან სტუდენტების მხრიდან ასევე იყო ინტერესი გამოხატული. ინგლისურის დონესთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაში აქცენტი გაკეთებული იყო B1 დონეზე, თუმცა ინსტიტუცია დაფიქრდებოდა და შეაფასებს აღნიშნულ გარემოებას. ხოლო ბაკალავრიატის საფუხურზე, ინსტიტუციაში ყველა ფაკულტეტზე

სავალდებულო საგნად იყო ინგლისური ენა და დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით შესაძლებელი იყო დონის გაზრდა, რაც საერთაშორისო ბაზების გამოყენებასაც შეუწყობდა ხელს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ფიზიკის კურსები შესაძლებელი იყო აწყობილი ყოფილიყო ისე, რომ ის საჭირო მათემატიკური მეთოდები (განტოლებები, ამოხსნის მეთოდები), რომელიც დარგისთვის იყო საჭირო ახსნილიყო კურსზე და სტუდენტს გამოიყენებინა ბაკალავრიატის საფეხურზე შეძენილი ცოდნა. ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთ ფიზიკის კურსს არ ჰქონდა წინაპირობა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა ვიზიტის განმავლობაში, ხოლო ინსტიტუციის წარმომადგენლების პოზიცია იყო, რომ მიღების წინაპირობებში გაწერილი იყო გამოცდები, რომლის ფარგლებშიც მოწმდებოდა შესაბამისი ცოდნა. რაც შეეხება, მათემატიკურ აპარატს, ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ იყო ფიზიკის კურსები, სადაც კონკრეტული მათემატიკური მეთოდების სწავლება ხდებოდა, ასევე იყო ამ მხრივ სასარგებლო კურსი - „ფიზიკური პროცესების მოდელირება და სიმულაცია“.

ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, სტუდენტები მოიპოვებდნენ ლიტერატურას, თუმცა სხვა გზებით, (Google და სხვა არაავტორიზებული რესურსებიდან). აქედან გამომდინარე, ექსპერტებმა აღნიშნული ხარვეზი დააფიქსირა რჩევებში, რადგან არცერთი სტუდენტი არ სარგებლობდა აღნიშნული ბაზებით. ექსპერტის მოსაზრებით, შესაძლებელი იყო აღნიშნული ბაზების შესახებ ჰქონოდათ ინფორმაცია სტუდენტებს, თუმცა ფაქტი იყო ის, რომ სტუდენტები არ სარგებლობენ რესურსებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ირაკლი კორძაიამ, ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტები ყოველთვის ცდილობდნენ შედარებით უფრო მარტივად „Google“-ის დახმარებით, არაოფიციალური საშუალებით მოეპოვებინათ მასალები, თუმცა ინსტიტუციას საუკეთესო პრაქტიკის სახით აქვს ელექტრონული პორტალი, სადაც დაემატა ელექტრონული ბიბლიოთეკა და ბაზებთან პირდაპირი წვდომა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ასევე ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, იმართებოდა შეხვედრა სტუდენტებთან, ლიტერატურასთან და ბაზების გამოყენების წესთან დაკავშირებით. რაც შეეხება ბიუჯეტს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტების მხრიდან დამატებით იქნა გამოთხოვილი დოკუმენტები ინსტიტუციიდან, თუ რა შენაძენები გაკეთდა. პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და დარგის სპეციალისტების მოპოვებული გრანტები და ასევე ინსტიტუციის მხრიდან გაწეული ხარჯები ჯამში დაახლოებით 1 მილიონი ლარის რესურსს შეადგენდა, მატერიალური და ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაადასტურა, რომ ინსტიტუციის მხრიდან, პროგრამასთან მიმართებაში წარმოდგენილი იქნებოდა ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუგზარ ლომიძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამას წინაპირობად ჰქონდა რადიოფიზიკა, სადაც დამსაქმებლები გაერთიანებულები იყვნენ მონაცემთა ბაზაში. ხოლო წარმოდგენილი ორი დამსაქმებელი იყო აკრედიტაციის პროცესში გამოკითხული დამსაქმებლებიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ ინსტიტუციას ყველა დამსაქმებელი ამოწერილი ჰქონდა, რაც ცხრილის სახით თანდართულ დოკუმენტაციაში იქნა წარმოდგენილი აკრედიტაციის დოკუმენტებში, სადაც სრულფასოვნად იყო გაკეთებული დამსაქმებელთა ანალიზი. დაწესებულების წარმომადგენელმა ჩამოთვალა დამსაქმებლები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში გამოიკითხა: აჭარის ტელერადიო დეპარტამენტი, ევექსის კლინიკა, რეფერალური საავადმყოფო, დასაქმების სააგენტო, სკოლები და სხვა. წარმოდგენილ ორი დამსაქმებელთან დაკავშირებული უხერხულობა გამოიწვია ტექნიკურმა მხარემ, რომელიც უკავშირდებოდა პროგრამის სახელის ცვლილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ინსტიტუცია მუშაობდა ახალ მეთოდზე, რომელიც დაფინანსდებოდა

ბიუჯეტიდან, ჩატარდებოდა საერთო კვლევა და იქნებოდა გამიჯნული, როგორც დამსაქმებელი, ასევე პოტენციური დამსაქმებელი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:34

დასრულების დრო: 17:02

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, მიიჩნია, რომ მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს, როგორც - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
- რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
- რეკომენდებულია დაზუსტდეს უცხო ენის წინაპირობა და მაგისტრატურაში მისაღებ ინგლისურ ენაში განისაზღვროს B2 დონე.
- რეკომენდებულია პროგრამის დაძლევის მიზნით მათემატიკის რელევანტური კომპეტენციების წინაპირობად განსაზღვრა ან პროგრამაში შესაბამისი კომპონენტის გათვალისწინება.
- რეკომენდებულია პროგრამის წინაპირობად განსაზღვრული ლიტერატურის განახლება.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა.
- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ფიზიკური ამოცანების მოდელირება და სიმულაციები, 2. ტალღური პროცესების თეორია, 3. მაგნიტური მოვლენების ფიზიკა, 4. პლაზმის ელექტროდინამიკა, 5. ელექტრული რხევები, 6. სტატისტიკური რადიოფიზიკა, 7. ტალღსატარები, 8. დისპერსულ გარემოთა მაგნიტოოპტიკა, 9. სიგნალების დამუშავება, 10. რადიო და ოპტიკური სისტემები, 11. ტალღური პროცესების გამოკვლევა ტროპოსფეროს სიმალღეებზე, 12. სამედიცინო ვიზუალიზაციის ფიზიკური, 13. ატმოსფეროს რადიოფიზიკა - სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების გაზომვადი კრიტერიუმებითა და დეტალური რუბრიკით.
- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტისა და 1-ლი მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი 5

კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკა, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

- რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- სასურველია, მიღების წინაპირობებში ჩაემატოს ტექნიკური ინგლისურის ცოდნა. შემოწმება შეიძლება მოხდეს შესაბამისი მიმართულების სტატიის ნაწილის თარგმნით, გასაუბრების რეჟიმში.
- სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორმასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა.
- სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ.

გადაწყვეტილება: „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 და მე-7 პუნქტების, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი: შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა (ინგლისურენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 10 იანვრის N5 გადაწყვეტილება
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	0912
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
15	განხორციელების ადგილი	
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო ალავიძემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი.

3.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში. შესაბამისად, სასურველია, გაზიარებულ იქნას დარგობრივი დოკუმენტის დამატებითი მოთხოვნა და პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა

მასწავლებლებმა რეგულარულად (2 წელიწადში ერთხელ) გაიარონ ტრენინგი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რაც დადასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით

3.2 მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი. სტუდენტები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დანართი 2-ის შესაბამისად განსაზღვრული სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებისათვის განკუთვნილი სიმულატორების, მულაჟების და მანეკენების სარეკომენდაციო რესურსით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, თუმცა, მოწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნული ჩამონათვალი ვერ იპოვა ექსპერტმა ჯგუფმა.

კარგ პრაქტიკასთან დაკავშირებით, ექსპერტის თქმით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დოკუმენტები ადასტურებდა მათ ინტენსიურ პროფესიულ განვითარებას, ასევე მისასალმებელი იყო „ბენჩმარკინგის“ განხორციელება ევროპულ სამედიცინო სკოლებთან მიმართებით. პროგრამა შეესაბამებოდა რ. ჰარდენის მიერ განსაზღვრული ინტეგრირებული კურიკულუმის მერვე საფეხურს. ინტეგრაციის ფილოსოფია უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციები არ ჰქონდათ. ბრძანებით დაევალიათ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტის შეფასება, საიდანაც 1-ლი და მე-2 სტანდარტი შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, ხოლო მე-4 მეტწილ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რამაზ კუკულაძემ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გახდა AMEE-ის წევრი და იმ დროისათვის ოთხი თანამშრომელი იყო ჩართული პროცესში. ერთ-ერთმა წევრმა უკვე გაიარა სამი კურსი, ხოლო დანარჩენი სამი ეტაპობრივად მიყვებოდა პროცესს. უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ასევე განმარტა, რომ ბიუჯეტში ჩადებული იყო განათლებასთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე კონფერენციებზე დასწრება იქნებოდა მუდმივი პრაქტიკა. ადამიანური რესურსების განვითარება პრეზიდენტის თქმით იყო მთავარი სტრატეგიული საკითხი, ამიტომ ინსტიტუციის წარმომადგენლები გეგმავდნენ, რომ ჩამოეყვანათ უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც მოახდენდნენ ტრენინგების მომზადებას. თუმცა, აღნიშნული დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ინსტიტუციის წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება გადაამზადონ 4 სპეციალისტი, ხოლო შემდგომ გადამზადებული სპეციალისტები უზრუნველყოფენ ადგილობრივი კადრების მომზადებას, რაც განხორციელდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. ხოლო უშუალოდ ტრენინგების გადამზადება მოხდებოდა ყოველ 4 წელიწადში, რათა მუდმივად იყვნენ ინფორმირებული სიახლეებზე. ასევე იგეგმებოდა კილის უნივერსიტეტის 7 სპეციალისტის ჩამოსვლა და 7 ადგილობრივი სპეციალისტის გაშვება აღნიშნულ უნივერსიტეტში, რაც ხელს შეუწყობდა ცოდნის გაღრმავებას.

მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ არსებული მულაჟები იყო ამორტიზირებული და მატერიალურ ტექნიკური ბაზა მოითხოვდა განახლებას. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ინსტიტუცია იყო ბიუჯეტის დასრულების პროცესში და მულაჟების ნაწილში დაიხარჯებოდა დაახლოებით 30 000 ევროს ფარგლებში, ხოლო სამედიცინო აღჭურვილობაზე, რაც კავშირში იყო სიმულაციურ ცენტრთან და ლაბორატორიასთან, მიმდინარეობდა ფასების დაზუსტება. ასევე იგეგმებოდა ბიო-ქიმიური ლაბორატორიის განახლება. უნივერსიტეტმა შეიძინა 3D სათვალე, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა სტუდენტებში. იგეგმებოდა ასევე ვირტუალური 3D მაგიდა. უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტი არ დაზოგავდა ფინანსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ ორივე რეკომენდაცია შეეხებოდა დარგობრივ მახასიათებელს, რომელზეც ინტენსიურად მუშაობდა თავადაც. საბჭოს წევრმა ტრენინგებთან დაკავშირებით განმარტა, რომ 2019 წელს გაიხსნა „ეიმი“, საერთაშორისო ტრენინგის ცენტრი, რომელიც ლოკალიზებული იყო სამედიცინო უნივერსიტეტში, თუმცა ეკუთვნოდა მთლიანად

სამხრეთ კავკასიის რეგიონს. საბჭოს წევრის თქმით, კოვიდ პანდემიის დაწყებისთანავე, პირველ კურსებს ესწრებოდნენ ღია უნივერსიტეტის წარმომადგენლები და 4 ტრენინგის გავლის შემდგომ ხდებოდა საერთაშორისოდ აღიარებული სპეციალისტის სპეციალური დიპლომის გაცემა. საბჭოს წევრის განმარტებით, მსოფლიოში მხოლოდ 3 მსგავსი ცენტრი იყო, რომელიც პანდემიის გამო დროებით შეჩერდა, თუმცა შემდგომ ისევ განახლდა და მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან დაიწყებოდა ონლაინ კურსები. რაც შეეხება „თიოთის“ სისტემის დანერგვას და გავრცელებას, თუმცა შესაძლებელი იყო მისი დანერგვა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ თავად არის აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელი და შეეძლო დაედასტურებინა, რომ აღნიშნული უნივერსიტეტის წარმომადგენლები ნამდვილად გადიოდნენ ტრენინგს.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ჩამონათვალი იყო ნიმუში. მისი განმარტებით, აღნიშნული გააჩნია უნივერსიტეტის პრეფერენციებს, როგორ გავიდოდა კლინიკური უნარ-ჩვევების შედეგზე და შესაბამისი სიმულატორების შექმნაზე. ჩამოთვლილია ყველა ის უნარ-ჩვევა, რომელსაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული. საბჭოს წევრმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული ნიმუში, სარეკომენდაციოა, მოთხოვნად არ იყო და თავად ინსტიტუციამ და ექსპერტებმა უნდა განსაზღვრონ თუ რამდენად ემთხვევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ჩართულები იყვნენ საბჭოს წევრის მიერ აღნიშნულ კურსებში. მან, ასევე აღნიშნა, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულები ყოველწლიურ კონფერენციებში, რომელიც ვირტუალურად იმართებოდა. „თიოთის“ გადამზადების კურსები აქვს ინსტიტუციას, „თიოთი პოლიტიკის“ ფარგლებში, რასაც აუცილებლად განახორციელებენ. მედიცინის სკოლის დეკანის თქმით, სკოლა რამდენიმე წელია დაარსდა და ამ მცირე მონაკვეთში მოხერხდა Erasmus-ის გრანტის მიღება. მისი თქმით, ასევე კილის უნივერსიტეტთან აქტიური კონტაქტით მოხდა პროგრამის შედგენა. ერასმუსის გრანტის მიღებისას, დაწესებულების წარმომადგენელმა, სწორედ სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიას გაუსვეს ხაზი. გამომდინარე იქიდან, რომ გამოცდილება ცოტა ჰქონდა პროგრამას, ამ კუთხით უფრო იყო საჭირო უცხოური გამოცდილება, რის საფუძველზეც ინსტიტუციამ შეიმუშავა 7 პროფესორ მასწავლებლის „ექსჩენჯი“, რაც ემსახურება სამედიცინო განათლებას.

რაც შეეხება სიმულაციურ ცენტრს, მედიცინის სკოლის დეკანმა აღნიშნა, რომ ფუნქციონირებდა 3 ლაბორატორია, საიდანაც ერთი იყო კლინიკურ სიმულაციური ცენტრი, მეორე იყო ბიო ქიმიური ლაბორატორია და ასევე ფანტომური ოთახი, სადაც ანატომიური სიმულატორები იყო. მისი თმით, კლინიკურ სიმულაციური ლაბორატორია, მულაჟები, რომლებიც წარმოდგენილი იყო დარგობრივში, შექმნილი იყო ინსტიტუციის მიერ, რასთან დაკავშირებითაც მასალა დამატებით გამოითხოვა ექსპერტმა, რაც ინსტიტუციამ დასურათებული აღწერილობით გაუგზავნა. დეკანმა ხაზი გაუსვა, რომ ყველა სიმულატორი, რაც მოცემული იყო დარგობრივ მახასიათებელში, ჰქონდა ინსტიტუციას, რადგან შეუძლებელი იყო სხვაგვარად შედეგებზე გასვლა, თუმცა ინსტიტუცია გეგმავდა გადახალისებას და რისთვისაც გამოყოფილი იყო დიდი ბიუჯეტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:22

დასრულების დრო: 17:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, მიიჩნია, რომ მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში აისახოს პერსონალის პროფესიული განვითარების შესაბამისი ხარჯები და კლინიკური უნარჩვევების ცენტრის განახლებისათვის აუცილებელი ხარჯები.

რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- სასურველია პროგრამაში მიეთითოს, როგორ ხდება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება შესაბამის დონეზე და რა ეტაპზე.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „მედიცინის (ინგლისურენოვანი)“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „მედიცინის (ინგლისურენოვანი)“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

4. მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული.
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №18704, 2021 წლის 21 იანვარი

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
12	კვალიფიკაციის კოდი	0732
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო 0159, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240, კახა ბენდუქიძის კამპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2021 წლის 21 იანვარს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად საგანმანათლებლო დაწესებულებას

განესაზღვრა ვადა - 6 თვე (2021 წლის 24 ივნისამდე). ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და ის დოკუმენტები, სადაც იყო ცვლილებები შეტანილი. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა საბჭოს მიერ განესაზღვრა შემდეგნაირად: 1-ლი, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტი - სრულ შესაბამისობაში, ხოლო მე-2 სტანდარტი- მეტწილ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ექსპერტის განმარტებით, პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განესაზღვრა 7 რეკომენდაცია, საიდანაც 6 რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული და ასახული დოკუმენტაციაში, რომელიც მტკიცებულების სახით იქნა წარმოდგენილი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, „სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია და რა ვადით, პრაქტიკისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად.“ ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში გაწერილი იყო, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აღნიშნული პროცესი უკვე დაწყებული იყო და დაწესებულება ითვალისწინებდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციას. ასევე პროცესი იყო განგრძობადი, რადგან ის არ იყო ცალმხრივი და მოითხოვდა პარტნიორი მხარის თანხმობას და მხარდაჭერას. ექსპერტის განმარტებით, დოკუმენტაციის შესწავლის პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი გაფორმებული ხელშეკრულება, როგორც მტკიცებულება აქედან გამომდინარე საჭირო იყო საგანმანათლებლო დაწესებულებას დაეზუსტებინა საბჭოს წინაშე თუ რა ღონისძიებები გატარდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18704 გადაწყვეტილების მიხედვით, ზეპირი მოსმენის დროს გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული 4 რჩევა. ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში გაწერილი იყო, რომ სამომავლოდ დაგეგმილი იყო მეორე და მესამე რჩევებით გათვალისწინებული საკითხების განხილვა. ხოლო პირველ და მეოთხე რჩევასთან დაკავშირებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ მემორანდუმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით ინსტიტუციას ჰქონდა ზოგადი პოზიცია, რომ სტანდარტი იყო არასწორად ფორმულირებული. ინსტიტუციას ჰქონდა მიმართულება ხარისხის ცენტრთან ერთად, შეცვლილიყო სტანდარტის ფორმულირება, რადგან, როდესაც მიმდინარეობდა ამ ტიპის რეკომენდაციების განხილვა, წინა საბჭოს შემადგენლობაც ეთანხმებოდა, რომ იყო გარკვეული ხარვეზი. რექტორის განმარტებით, ინსტიტუციას წარმოდგენილი ჰქონდა ბევრი არგუმენტები, რომ პარტნიორების თავშეკავება არ იწვევდა შედეგს. ხოლო 3 წლით ადრე, კომპანიის მხრიდან ან არ იქნებოდა შემოთავაზება, ან იქნებოდა კონსერვატიული. კომპანიები არ ექცეოდნენ აკრედიტაციის რეგულირების ქვეშ, ხოლო ინსტიტუციას სურდა აკრედიტაციის სტანდარტების გაავრცელებდა ეკონომიკაზე და ეკონომიკის სუბიექტებზე. რექტორის თქმით, ინსტიტუცია თანამშრომლობდა კომპანიებთან. ასევე, ინსტიტუციას, ჰქონდა „ჩარჩო“ მემორანდუმები გაფორმებული, რომელიც არ ეხებოდა მხოლოდ ერთი პროგრამის სტუდენტებს, ამიტომ ყველა პროგრამისთვის უნდა გაკეთებულიყო ან დაშლილიყო მემორანდუმები, ამიტომ იყო საკმაოდ რთული და ორმხრივი პროცესი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა, ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, მემორანდუმების გაფორმება კომპანიების მხრიდან არ წარმოადგენდა პრიორიტეტულ საკითხს, ამიტომ რაოდენობრივად ბევრი არ იყო გაფორმებული, თუმცა ახლად გაფორმებულ მემორანდუმში იყო ჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხს, რაც იყო განგრძობადი პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ სტანდარტში მთავარი მოთხოვნა იყო, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღება, რისი შესაძლებლობაც სრულად ჰქონდათ სტუდენტებს, რაც

ექსპერტთა ვიზიტის დროს დადასტურდა. არ ყოფილა შემთხვევა, სტუდენტს არ ჰქონოდა პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრება იყო, რომ სტანდარტს შინაარსობრივად აკმაყოფილებდა ინსტიტუცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარხცალაძემ აღნიშნა, რომ გადახედა სილაბუსებს, სადაც უნდა ყოფილიყო გაძლიერებული დაპროექტების ელემენტები კერძოდ: „რკინა ბეტონის კონსტრუქციები 2“ და „წყალმომარაგება და წყალარინება“. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ იყო დიდი დატვირთვა მეორე ნაწილში. საბჭოს წევრმა, აღნიშნა, რომ დარგობრივი სტანდარტის მიზანი იყო, რომ გამოყოფილიყო ცალკე შენობა ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა, რაც იყო სწორედ აღნიშნული სპეციალობისათვის განკუთვნილი მიმართულება, ხოლო წყალმომარაგების სილაბუსში, საკმარისი იქნებოდა გარე ქსელის განხილვა და შემდგომ შენობა ნაგებობის აღჭურვა წყალმომარაგებით და წყალარინებით. საბჭოს წევრის მოსაზრებით ბევრი საკითხი იყო განხილული სილაბუსში.

საბჭოს წევრი, გიორგი ლაღანიძე დაინტერესდა, 2021 წლის იანვრიდან რამდენი ახალი მემორანდუმი დაიდო ან განახლდა და ამჟამად რამდენზე მუშაობდა ინსტიტუცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის, ვახტანგ ლეჟავას განმარტებით, საბაკალავრო პროგრამაზე გამწმენდი ნაგებობის სრულად გაანგარიშებას და სხვა გარკვეულ საკითხებს ვერ შეძლებდა სტუდენტი, ხოლო პროგრამაში ხდებოდა ზოგადი წარმოდგენების შექმნა. დარგობრივ სტანდარტში ხაზგასმით იყო, რომ ეს იყო მინიმალური სტანდარტი და შემდგომ უნივერსიტეტებს და პროგრამებს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ სტანდარტზე ცოტა მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ სტუდენტისათვის. პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, შესაძლებელი იყო იმაზე მეტი მასალა, რაც ინჟინერს ჭირდებოდა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის შეფასებით, ეს გემოვნების საკითხი იყო.

რაც შეეხება „რკინა ბეტონის კონსტრუქციები 2“-ის სილაბუსთან დაკავშირებულ შეკითხვას, პროგრამის ხელმძღვანელმა, დაჩი ჯუგაშვილმა, აღნიშნა, რომ როდესაც ცხადდებოდა „რკინა ბეტონის კურსი“ ძირითადად პარალელურ რეჟიმში მიყვებოდა თეორია და პრაქტიკული ნაწილი. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, უშუალოდ მცირე მაგალითებით მიჰყვებოდა „რკინა ბეტონის“ კურსს, მათ შორის იგივე სილაბუსში მოხდა მცირე შესწორებები, კონკრეტულად გაიწერა რა ტიპის დავალებებს ასრულებს პროფესორი სტუდენტებთან ერთად. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ერთი სემესტრის განმავლობაში, სტუდენტები დებულობდნენ დიდ ცოდნას, თუმცა პროგრამა იმდენად იყო გაჯერებული, რომ სხვანაირად შეუძლებელი იყო. ხოლო „რკინა ბეტონი“ იყო ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება აღნიშნულ პროფესიაში. სტუდენტები მუშაობდნენ დატვირთვით, თუმცა ახერხებდნენ მიჰყოლოდნენ პროგრამას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია შეეხებოდა შედეგების ფორმულირებას. თავდაპირველად იყო ჩანაწერი, რომ კურსდამთავრებულს შეეძლო „შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკრო კლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება.“ რაც ექსპერტთა ჯგუფმა, მიიჩნია რომ რთული იყო შესასრულებლად, შესაბამისად სილაბუსიც ვერ პასუხობდა თავისი შემადგენელი ნაწილით შინაარსობრივად. აქედან გამომდინარე, ინსტიტუციამ, როდესაც გაითვალისწინა რეკომენდაცია, განმარტა, რომ წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების გეგმარებისა და გაანგარიშების პრინციპს შეასწავლიდნენ, რაც ექსპერტის შეფასებით იყო ბევრად უფრო მარტივი მიდგომა და სილაბუსი შეესაბამებოდა აღნიშნულ საკითხებს. ექსპერტის განმარტებით, სილაბუსის ავტორთან და დარგის სპეციალისტთან ინტერვიუებისას, მათ განმარტეს, რომ შესაძლოა დატვირთული ჩანდა სილაბუსი, თუმცა ისინი მარტივად ასწავლიდნენ და მარტივ მასალას აძლევდნენ სტუდენტს. ექსპერტმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ როგორც დარგის სპეციალისტს მიაჩნდა, რომ სილაბუსი არ იყო გადატვირთული და არ სცილდებოდა საბაკალავრო დონეს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა, ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ გაფორმებული იყო 3 ახალი მემორანდუმი, საიდანაც ორი იყო ახენის უნივერსიტეტთან და „მიშიგანი სტიუტ“ უნივერსიტეტთან, რომელიც შეეხებოდა გაცვლით პროგრამებს და არა სტაჟირების საკითხს. ხოლო მესამე მემორანდუმი გაფორმდა „პეპსიკოსთან“, სადაც ხაზგასმით იყო ჩანაწერი თუ რამდენ სტუდენტს შეეძლო სტაჟირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:00

დასრულების დრო: 18:14

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 20 აგვისტოს 18:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

